,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2024 წლის 25 ივნისის №166/01-01 ბრძანების
საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის № 80/2024 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 8 აგვისტო, 12:30 სთ 2024 წელი

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: 1. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე) 2. პროფესორი მანანა გაბაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია (კომისიის მდივანი) 4. პროფესორი ვახტანგ ნადარეიშვილი; 5. პროფესორი დავით ძიძიგური.

დღის წესრიგი:

1. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, რექტორის რექტორის 2024 წლის 25 ივნისის №165/01-01 და №166/01-01 ბრძანებების საფუძველზე, ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის მიზნით ჩატარდა კენჭისყრა.
2. კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები ხელმოსაწერად. ბიულეტენების რაოდენობა - 5. მან კომისიის წევრებს წარუდგინა ყუთი, რომელიც კომისიის წევრების წინაშე გაიხსნა. წევრები დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელი იყო. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრების წინაშე ქაღალდის საშუალებით დალუქა ყუთი, რომელიც დამოწმდა კომისიის წევრების ხელმოწერებით. კომისიის წევრებს დაურიგდათ კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები,

სულ 5 ბიულეტენი, ხმის მისაცემად. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიამ აირჩია ხმის დამთვლელი ჯგუფი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია და პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი. გამოყენებული ბიულეტენი - 5, გაფუჭებული - 0. კენჭისყრის შედეგების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე თამარ აბაშიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე იყო - კომისიის 5 წევრი, წინააღმდეგი - 0 წევრი.

3. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა- თამარ აბაშიძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან მიღება-ჩაბარების აქტით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ პირველ ეტაპზე კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

შეფასების პირველ ეტაპზე, თამარ აბაშიძემ I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

თამარ აბაშიძე თსუ-ში ასწავლის 1997 წლიდან დღემდე, ხოლო როგორც ასოცირებული პროფესორი 2017 წლიდან. მას 2006 წლიდან, ასევე აქვს მუშაობის გამოცდილება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრში (NAEC), საერთო სამაგისტრო გამოცდის ჯგუფში, სპეციალისტად.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კანდიდატები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პედაგოგიური და პროფესიული უნარები
- გადმოცემისა და მეტყველების კულტურა

პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

თამარ აბაშიძის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში და გასაუბრების ეტაპზე გამოვლენდა კვლევით ინტერესები ემოციის, კოგნიტური ფსიქოლოგიის, კულტურის სფეროში; ის კითხულობს შემდეგ სასწავლო კურსებს:

1. ფსიქოლოგიის საფუძვლები 1

2. კოგნიტური ფსიქოლოგია 1,2
3. ემოციის ფსიქოლოგია
4. კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1
5. ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება
6. ემოცია და კულტურა

მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობა:

კომისია შეჯერდა, რომ კონკურსის შედეგები მართლზომიერია.

ვაკანსია გამოცხადებული იყო კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა კანდიდატის პროფესიონალიზმი, პროფესიული და სამეცნიერო კომპეტეციები, გადმოცემისა და მეტყველების კულტურა.

თამარ აბაშიძემ გამოავლინა პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის ფართო გამოცდილება, რაც ფაკულტეტს შესაძლებლობას მისცემს კვლავაც ეფექტურად ჩართოს იგი როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე, უხელმძღვანელოს სტუდენტებსა და კვლევით პროექტებს. დამატებით, თამარი არის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი, რეცენზენტი, არის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი. გასათვალისწინებელია სტუდენტების დადებითი გამოხმაურება მის კურსებზე, თამარ აბაშიძის სიახლეებისადმი ღიაობა, ფაკულტეტის სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობა. ის რეგულარულად ამზადებს და აახლებს სასწავლო კურსებსა და სასწავლო მასალებს.

ერთხმად დაადგინეს:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს თამარ აბაშიძე.

3. შესარჩევის კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ–გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე - ანასტასია ქიტიაშვილი, პროფესორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- მანანა გაბაშვილი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) –

კომისიის მდივანი- ირინე ჟვანია, ასოცირებული პროფესორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ვახტანგ ნადარეიშვილი, პროფესორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

დავით ძიძიგური, ფსიქოლოგიის დოქტორი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრის დირექტორი

Scanned with CamScanner